

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

მეორე კოლეგიის

გადაწყვეტილება № 2/1/743

2018 წლის 22 თებერვალი

ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

თეიმურაზ ტულუში – სხდომის თავმჯდომარე;

ირინე იმერლიშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

მანანა კობახიძე – წევრი;

თამაზ ცაბუტაშვილი – წევრი.

სხდომის მდივანი: მანანა ლომთათიძე.

საქმის დასახელება: საქართველოს მოქალაქე ავთანდილ ქათამაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

დავის საგანი: საქართველოს მთავრობის 2013 წლის პირველი მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ დანართი №1-ით განსაზღვრული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელის წარმომადგენელი – ლერი ქათამაძე; მოპასუხის, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები: ლალი თევდორაშვილი, თეა გვარამაძე, მიხეილ ტყემელაშვილი და ლაშა ქურდაძე.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 5 აპრილს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №743) მომართა საქართველოს მოქალაქე ავთანდილ ქათამაძემ. №743 კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას გადმოეცა 2016 წლის 6 აპრილს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2016 წლის 4 აგვისტოს №2/5/743 საოქმო ჩანაწერით, კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს მთავრობის 2013 წლის პირველი მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ დანართი №1-ით განსაზღვრული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის არსებითი განხილვის სხდომა ზეპირი მოსმენით გაიმართა 2017 წლის 15 მარტს და 2017 წლის 8 მაისს.

2. №743 კონსტიტუციურ სარჩელში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტები, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული



3. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე დასაქმებული იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ „ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანაში“, სადაც 1984 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაავადდა დიაგნოზით – მანგანუმის ქრონიკული ინტოქსიკაცია, რის გამოც უვადოდ, 100%-ით დაკარგა შრომის უნარი, ვერ გადაადგილდება დამოუკიდებლად და მინიჭებული აქვს პირველი ჯგუფის ინვალიდის სტატუსი. მომხდარის გამო, დაზარალებული დამსაქმებლისგან იღებდა ყოველთვიურ ზიანის ანაზღაურების სარჩოს.

4. მოსარჩელე კონსტიტუციურ სარჩელში უთითებს, რომ „ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანას“, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 31 დეკემბრის №32/5-25 დადგენილებით, შეეცვალა სამართლებრივი ფორმა და დარეგისტრირდა როგორც სააქციო საზოგადოება „ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანა“ (სს „ფერო“), რომლის აქციათა 51%-ს ფლობდა საქართველოს სახელმწიფო, 48,2%-ს – საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო, ხოლო დარჩენილ 0,8%-ს – მუშათა კოლექტივი. 2006 წლის 13 დეკემბერს, ერთი მხრივ, შპს „ჯორჯიან მანგანუმს“, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს „ფეროს“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჯორჯიან მანგანუმს“ შეიძინა აქტივები, ხოლო პასივები დარჩა სს „ფეროს“.

5. მოსარჩელეს, 2007 წლის პირველი მარტიდან შეუწყდა ყოველთვიური სარჩოს გაცემა. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სს „ფეროს“ დაევალა სარჩოს ანაზღაურების აღდგენა, რაც კომპანიამ გაკოტრების გამო ვერ შეძლო, ხოლო შპს „ჯორჯიან მანგანუმს“ უარი განაცხადა სარჩოს გადახდაზე იმ მოტივით, რომ იგი არ წარმოადგენდა სს „ფეროს“ სამართალმემკვიდრეს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით დასრულდა სს „ფეროს“ გაკოტრების საქმისწარმოება. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის 2010 წლის 24 მარტის ჩანაწერის მიხედვით, სს „ფერო“ ლიკვიდირებულია, ხოლო უფლებამონაცვლე არ ჰყავს.

6. კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, 2013 წლის 25 მარტს მოსარჩელემ, დახმარების დანიშვნის თხოვნით, განცხადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს. სადავო ნორმაზე დაყრდნობით, იმის გამო, რომ სს „ფერო“ ლიკვიდაციის პროცესში არ იყო სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო, სოციალური მომსახურების სააგენტომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და უარი უთხრა დახმარების დანიშვნაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება გაზიარებულ იქნა საერთო სასამართლოების მიერაც.

7. მოსარჩელე ხაზს უსვამს, რომ მის მიერ პროფესიული დაავადების მიღების დროს „ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანა“ წარმოადგენდა სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს. ამასთანავე, დღემდე გრძელდება დაავადების პროცესი. შესაბამისად, იგი უნდა მოქცეულიყო სადავო რეგულაციით დადგენილ დახმარების მიძღვებ პირთა წრეში. მოსარჩელე მხარე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სს „ფერო“ ხელახალი რეგისტრაციის შემდეგაც აგრძელებდა სარჩოს გადახდას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დროისთვის უკვე აღარ წარმოადგენდა სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს.

8. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის აზრით, სადავო ნორმა დისკრიმინაციულია იმ პირების მიმართ, რომლებსაც პროფესიული დაავადება დაუდგინდათ მაშინ, როდესაც საწარმოს წილების 100%-ის მესაკუთრე იყო სახელმწიფო, ხოლო შემდეგ მოხდა ამ საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია და შემცირდა სახელმწიფოს წილების ოდენობა. ამასთან, ნორმის დისკრიმინაციულობის მტკიცებისას მოსარჩელე მხარე პარალელს ავლებს ზემოხსენებული წესის მე-5 მუხლის მე-2, 2¹, 2², 2³, 2⁴ და 2⁵ პუნქტებზე, რომლებიც ადგენენ დახმარების გაცემის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა საწარმოები აკმაყოფილებენ თუ არა სადავოდ გამხდარი ნორმით დადგენილ მოთხოვნას. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, აღნიშნულ საწარმოთა რიცხვში სს „ფეროს“ გაუთვალისწინებლობა წარმოადგენს არსებითად თანასწორ პირობებში მყოფი პირების მიმართ იმგვარ უთანასწორო მოპყრობას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს. ამასთან, მოსარჩელე მხარე სადავო ნორმის დისკრიმინაციულობის შეფასებისას პრობლემურად მიიჩნევს მხოლოდ იმ პირობას, რომელიც პირთა წრეებს ერთმანეთისგან საწარმოს ლიკვიდაციისას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის განსაზღვრული პროცენტული ოდენობის ნიშნით გამოყოფს.



9. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოსარჩელის წარმომადგენელმა დააზუსტა საკუთარი პოზიცია და ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა იმ შემთხვევაშიც, თუ სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევდა შესადარებელ პირთა წრისთვის დახმარების გაუქმებას. მისი განმარტებით, „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი ავალდებულებს მთავრობას, დახმარება გასცეს აღნიშნული კატეგორიის პირებზე და შეიმუშაოს წესი, რომელიც ყველა არსებითად თანასწორ პირს მოაქცევს ერთნაირი სამართლებრივი რეგულირების ქვეშ. საქმის არსებითი განხილვის სხდომის შემდეგ კი, მოსარჩელის წარმომადგენელმა, წერილობით მომართა სასამართლოს და მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება. მისი განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები „სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით“ და არა მთლიანად მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, რადგან მოსარჩელისთვის დახმარების დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველი გახდა სწორედ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობა და არა მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სხვა პირობა. მისი განმარტებით, მოსარჩელის მიზანია, დახმარება მიიღოს იმ პირების მსგავსად, რომლებიც ექცევიან მე-5 მუხლის პირველ, მე-2, 2¹, 2², 2³, 2⁴ და 2⁵ პუნქტებით განსაზღვრულ პირთა წრეში. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხსენებული პირველი პუნქტის მთლიანად არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში კი არსებობს რისკი, რომ მოპასუხე მხარემ დახმარების მიღების უფლება აღარ გაავრცელოს ზემოხსენებულ პირებზე, მათ შორის მოსარჩელეზეც, რის გამოც, ვერ იქნება მიღწეული სარჩელის მიზანი და არაეფექტური აღმოჩნდება სასამართლოს გადაწყვეტილება. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის განმარტებით, აღნიშნული რისკი აღარ იარსებებს სიტყვების – „სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით“ არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, რადგან მე-5 მუხლის პირველი პუნქტი დარჩება შემდეგი ფორმულირებით: „დახმარება შეიძლება დაენიშნოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დასაქმებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში (უფლებამონაცვლე არ ჰყავს), 2007 წლის 1 იანვრამდე დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება ამ დამსაქმებელთან მუშაობის გამო ან ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას მის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი“. ასეთი ფორმულირება კი, ავტომატურად გამოიწვევს მოსარჩელისათვის დახმარების მიღებ პირთა წრეში მოქცევას და თანასწორი მდგომარეობის აღდგენას.

10. მოპასუხე მხარის პოზიციით, მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. სადავო ნორმით შემუშავდა ზოგადი წესი, თუმცა იმის გამო, რომ რიგი კომპანიები ვერ აკმაყოფილებდნენ დადგენილ მოთხოვნებს, საჭირო გახდა მე-2, 2¹, 2², 2³, 2⁴, 2⁵ პუნქტების, როგორც საგამონაკლისო შემთხვევების განსაზღვრა. დახმარების მიმღებ პირთა წრის გაფართოება სახელმწიფოს მხრიდან ხდება ეტაპობრივად, მისი რესურსების გათვალისწინებით. ბენეფიციართა წრის ამგვარი განსაზღვრა კი, თავის მხრივ, განაპირობა ამოწურვადმა ფინანსურმა რესურსებმა.

11. მთავრობის წარმომადგენელთა განმარტებით, იმ საწარმოში დასაქმებულ პირთა მიმართ ვალდებულების აღება, რომლებიც სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შეიქმნა, თუმცა ლიკვიდაციისას სახელმწიფოს წილი შემცირდა, სახელმწიფოს განუსაზღვრელი ხარჯებისა და არაგანჭვრეტადი შედეგების წინაშე დააყენებდა, რადგან მოუწევდა დახმარება გაეცა ყველა იმ საწარმოში დასაქმებულ პირზე, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებობდა. ამგვარ საწარმოთა რიცხვი კი, როგორც მოპასუხემ განმარტა, 1400-ს აღწევს.

12. მთავრობის წარმომადგენელთა განმარტებით, სადავო ნორმით განსაზღვრული ჩანაწერის საფუძველზე, სახელმწიფომ ვალდებულება აიღო მხოლოდ იმ საწარმოებში დასაქმებულ პირთა მიმართ, რომლებშიც სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობა არსებობდა. აღნიშნული განაპირობა პრეზიდენტის 1999 წლის №48 ბრძანებულებამ, რომელიც სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული დაზიანების ანაზღაურების ვალდებულებას განსაზღვრავდა. იმავდროულად, სახელმწიფო თავისივე შექმნილ საწარმოში ახორციელებს პარტნიორის უფლებამოსილებებს, ამდენად, ის მხოლოდ იმ საწარმოში დასაქმებული პირების მიმართ კისრულობს ვალდებულებას, რომელშიც სრულად ფლობს აქციათა წილებს.

13. მოპასუხე მხარის არგუმენტაციის თანახმად, სახელმწიფო სახსრების დაზოგვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს, ამასთანავე, ამოწურვად რესურსებთან მიმართებით სახელმწიფო სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს საკუთარი შეხედულებისამებრ მათ განკარგვას. განსახილველ შემთხვევაში შესადარებელი პირების მიმართ



განსხვავებული მოპყრობა არ წარმოადგენს დისკრიმინაციას, რადგან ეფუძნება ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ შეფასებას, ითვალისწინებს საჯარო ინტერესს და ამყარებს სამართლიან ბალანსს საზოგადოების საერთო ინტერესსა და ინდივიდის უფლებებს შორის. მოპასუხე მხარემ დამატებით განმარტა, რომ შრომითი მოვალეობის შესრულების შედეგად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს მიმართ არ არსებობს და განსაზღვრული დახმარების გაცემას სახელმწიფო კეთილი ნების ფარგლებში ახორციელებს.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. „კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ეს ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II - 1). მისი მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორ პირთა უთანასწოროდ მოპყრობა და პირიქით. ამასთანავე, „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიზანს წარმოადგენს არა პირთა აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა, არამედ არსებითად თანასწორი პირებისადმი თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-8).

2. მოცემულ შემთხვევაში, იმის დასადგენად, იწვევს თუ არა სადავო ნორმა დიფერენცირებულ მოპყრობას, უნდა გაირკვეს პირთა წრე, ვისზეც უშუალოდ ვრცელდება სადავო რეგულირება. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული თანასწორობის უფლების შეზღუდვას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა.

3. №734 კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ არის გამხდარი საქართველოს მთავრობის 2013 წლის პირველი მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ დანართი №1-ით განსაზღვრული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით. საქართველოს მთავრობის 2013 წლის პირველი მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ზოგადი წესის სახით განსაზღვრავს შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების მიმდებ პირთა წრეს. ხსენებული ნორმა სახელმწიფო დახმარების დანიშვნის საფუძველს ქმნის მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებიც სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში იყვნენ დასაქმებულნი. სახელმწიფოს 100%-ზე ნაკლები წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში დასაქმებული პირები კი, სრულად არიან მოკლებული დახმარების დანიშვნის შესაძლებლობას, რის გამოც სადავო ნორმით დგინდება დიფერენცირებული მოპყრობა.

4. დიფერენცირების ფაქტის არსებობა ყოველთვის არ არის საკმარისი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული უფლების სფეროში ჩარევის დასასაბუთებლად, „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით“ (საკონსტიტუციო



სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-2).

5. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, გამოიკვეთოს შესადარებელი ჯგუფები და განისაზღვროს, რამდენად წარმოადგენენ ისინი არსებითად თანასწორ სუბიექტებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით. „სამართალი აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო სპექტრს, რომელიც მიემართება პირთა განუსაზღვრელ წრეს. ამიტომაც, კონსტიტუციის მე-14 მუხლზე მსჯელობისას პირთა არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურ ურთიერთობასთან კავშირში. ... ამასთან, თუ პირთა დიფერენცირებას საფუძვლად უდევს მათი განსხვავებული ფაქტობრივი ანდა სამართლებრივი მდგომარეობა, სახეზე არ იქნება კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით შესაფასებელი მოცემულობა“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბომე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II -19).

6. განსახილველ შემთხვევაში პირთა დიფერენცირება ხდება საწარმოში სახელმწიფოს წილის ოდენობის მიხედვით, რაც გამოიხატება, სახელმწიფოს მხოლოდ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში დასაქმებულ პირთათვის დახმარების დანიშვნაში. ზოგადად, მეწარმე სუბიექტებში – სააქციო საზოგადოებაში (კორპორაციაში) პარტნიორის წილის ოდენობა ზეგავლენას ახდენს საწარმოს მართვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ ურთიერთობებთან მიმართებით წილების ოდენობას შესაძლოა, მართლაც უკავშირდებოდეს განსხვავებული ფაქტობრივი ანდა სამართლებრივი შედეგები, აღნიშნული განსხვავება ვერ განაპირობებს მოცემულ ურთიერთობასთან მიმართებით შესადარებელი ჯგუფების არსებითად უთანასწორო პირებად მიჩნევას. ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისა და პროფესიული დაავადების მიღების შემთხვევაში დახმარების მიღების ინტერესსა და საჭიროებაზე ზეგავლენას ვერ იქონიებს საწარმოში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის ოდენობა, რადგან ყოველთვიური დახმარების დანიშვნა თანაბარი მნიშვნელობისაა ორივე შესადარებელი ჯგუფისთვის. მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმა პირების დიფერენცირებას ახდენს არა მათი საჭიროებიდან (შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხი, შრომისუუნარობის ხარისხი და ა.შ.) გამომდინარე, ანდა დახმარების ოდენობას განსაზღვრავს არა სახელმწიფო წილის პროპორციულად, არამედ საწარმოში სახელმწიფოს სრული წილობრივი მონაწილეობის მიხედვით. ამდენად, არ არსებობს რაიმე კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ შესადარებელ სუბიექტთა არსებითად უთანასწორობად მიჩნევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საჭიროების გათვალისწინებით, პირთა ეს ორი ჯგუფი, მოცემული სამართალურ ურთიერთობის მიზნებისთვის, განხილულ უნდა იქნენ არსებითად თანასწორად.

7. არსებითად თანასწორ პირებს შორის სადავო ნორმიდან გამომდინარე დიფერენცირების დადგენასთან ერთად, მნიშვნელოვანია თავად მოსარჩელე მხარის მოთხოვნის სწორად იდენტიფიცირება, რათა სასამართლომ შეამოწმოს მისი საფუძვლიანობა.

8. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „მოსარჩელეს უფლება აქვს შეამციროს მოთხოვნის მოცულობა, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე“. „აღნიშნული ნორმა ადგენს მოსარჩლის უფლებას, გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, ნებისმიერ დროს, შეამციროს ან უარი თქვას მის მოთხოვნაზე. მოსარჩლის მიერ გარკვეულ მოთხოვნაზე უარის თქმა, თავისთავად, ნიშნავს, რომ ამ მომენტიდან ის აღარ წარმოადგენს დავის საგნის ნაწილს“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12). ამავე დროს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით და ვალდებულია, იმსჯელოს სადავო ნორმის მხოლოდ გასაჩივრებულ ნორმატიულ შინაარსზე.

9. №743 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-14



მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა სრულად. შესაბამისად, ამ ფორმით მოხდა სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/5/743 საოქმო ჩანაწერით. საქმის არსებითი განხილვის შემდეგ მოსარჩელის წარმომადგენელმა წერილობით მომართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება. მისი განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის პირველი მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ დანართი №1-ით განსაზღვრული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები „სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით“ და არა მთლიანად მე-5 მუხლის პირველი პუნქტი. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლოს მიერ მხოლოდ სიტყვების – „სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით“ არაკონსტიტუციურად ცნობა და გაუქმება, ავტომატურად გამოიწვევს მოსარჩელისათვის დახმარების მიღება პირთა წრეში მოქცევას და თანასწორი მდგომარეობის აღდგენას. ამასთან, აღარ იარსებებს რისკი, რომ პირველი პუნქტის მთლიანად გაუქმების შემთხვევაში, მოპასუხე მხარემ აღარ განსაზღვროს ახალი რეგულაცია. მოსარჩელის მითითებით მას არ სურს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა იმ ფორმით, რომ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში დასაქმებულ პირებს წაერთვათ დახმარება.

10. მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა გულისხმობს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას იმგვარად, რომ სახელმწიფოს 100%-ზე ნაკლები წილობრივი მონაწილეობით ლიკვიდირებულ საწარმოში დასაქმებულ თითოეულ პირს დაენიშნოს სადავო დადგენილებით გათვალისწინებული დახმარება. ამდენად, მოსარჩელე ითხოვს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, სადავო ნორმა მოდიფიცირდეს, გაფართოვდეს მისი შინაარსი, დახმარების მიღება სუბიექტთა წრე და მისი რეგულირების ქვეშ დამატებით მოექცნენ მოსარჩელის მდგომარეობაში მყოფი პირებიც.

11. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად, მოსარჩელე ითხოვს სადავო ნორმის არა სრული, არამედ მხოლოდ იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც გამორიცხავს მისთვის დახმარების დანიშვნას. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, გააჩნია თუ არა სადავო ნორმას მოსარჩელის მიერ მითითებული ნორმატიული შინაარსი. სადავო ნორმის მიხედვით, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში დასაქმებულ პირებს გააჩნიათ სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება. ნორმა საერთოდ არ მიუთითებს რომელიმე სხვა სუბიექტის მიმართ ამ დახმარების დანიშვნის აკრძალვაზე. საკითხის, სადავო ნორმაში მოცემული სუბიექტების გარდა, სხვა სუბიექტებმა შესაძლოა/უნდა მიიღონ თუ არა აღნიშნული დახმარება, უბრალოდ ცდება ნორმის რეგულირების სფეროს, ფარგლებს. სადავო ნორმას არ გააჩნია იმგვარი ნორმატიული შინაარსი, რომელიც შესაძლებელია, მოსარჩელისათვის დახმარების დანიშვნის უფლების ამკრძალავად იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, სადავო ნორმის არც ერთი ნაწილის/ნორმატიული შინაარსის გაუქმება მოსარჩელისათვის დახმარების დანიშვნას არ გამოიწვევს.

12. მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია არა სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის გაუქმებისაკენ, არამედ ნორმიდან კონკრეტული სიტყვების ამოღების გზით, ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნისკენ. მოსარჩელე, პრობლემურად საერთოდ არ მიიჩნევს სადავო ნორმის საფუძველზე დახმარების გაცემას, არამედ ითხოვს, რომ სადავო ნორმამ შეიძინოს ახალი ნორმატიული შინაარსი, გაფართოვდეს მისი მოქმედების ფარგლები და იგივე წესი გამოყენებულ იქნეს მის მიმართაც. მსგავსი მოთხოვნა „შინაარსობრივად კანონმდებლობაში პოზიტიური ჩანაწერის გაკეთების იდენტურია, რაც კანონშემოქმედებითი პროცესის ნაწილია და არა ნეგატიური, კანონმდებლის კომპეტენციის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-24).

13. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არის შესაძლებელი, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა იმგვარად, რომ მოხდეს არა მხოლოდ შესაძარებელი პირების უფლებრივი მდგომარეობის მოსარჩელის უფლებრივ მდგომარეობასთან გათანაბრება, არამედ მკაცრად დადგინდეს ყველასთვის დახმარების დანიშვნის ვალდებულება. ამ თვალსაზრისით „აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონმდებლობით მინიჭებული მანდატის, მისი კომპეტენციის გაანალიზება. მხოლოდ საკონსტიტუციო



სასამართლოს მანდატისა და კომპეტენციის დადასტურების შემდგომ იქნება შესაძლებელი საქმის გარემოებებზე მსჯელობა და სასარჩელო მოთხოვნის შეფასება“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13).

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ გააუქმოს სადავო ნორმა მთლიანად ან/და მისი რომელიმე ნაწილი/ნორმატიული შინაარსი, თუმცა მას არ შეუძლია დაადგინოს ახალი წესრიგი, გააფართოოს სადავო ნორმის მოქმედება და ა.შ. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობაში, მის გაუქმებაში“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22). ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააფართოოს სადავო ნორმის რეგულირების სფერო და დაადგინოს დახმარების დანიშვნის ვალდებულება პირთა რომელიმე კატეგორიის მიმართ.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ სადავო წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი არ შეიცავს მოსარჩელის მიმართ დახმარების დანიშვნის აკრძალვას, ამავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება, დააკმაყოფილოს მოსარჩელის მოთხოვნა და ახალი ნორმატიული წესის შექმნის გზით მიანიჭოს მას შესაბამისი დახმარების მიღების უფლება. შესაბამისად, №743 კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-7, მე-8, მე-11 და მე-13 პუნქტების, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 30-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ა დ გ ე ნ ს:

1. არ დაკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელი №743 (საქართველოს მოქალაქე ავთანდილ ქათამაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ) .
2. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
4. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
5. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

თეიმურაზ ტულუში

ირინე იმერლიშვილი

მანანა კობახიძე



